



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო87.8722035001

თარიღი:04/02/2022

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი № 3

ქ. ახმეტა 2 თებერვალი 2022 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: იოსებ ქარუმაშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი;
თ.ყვინიშვილი; ლ.ვაჩეიშვილი; თ. ბორჩაშვილი;

ხ.ირუაიძე; გ.შაშიაშვილი;კ.მამულაშვილი;

ზ.უძილაური; ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი;
ზ.ფიცხელაური; გ.მამუნარაშვილი; რ.გახუაშვილი;
თ.მოზაიძე; შ.ტერტერაშვილი; გ.შორთიშვილი;
ლ.მუთოშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი;

ფ. შიომღვიმელი; ს.ბაბულაიძე;
ე.ფეტვიაშვილი; კ.მუხაური.

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

დღის წესრიგი

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10

იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

2. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ; ინფორმაცია კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

3. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

4. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

5. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის სიის დამტკიცების ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

6. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის სიის დამტკიცების ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი.

სხდომას ესწრება 26 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 16 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი; ლ.ვაჩეიშვილი; შ.ხობობაშვილი; გ.ბართიშვილი; თ.ყვინიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.ინუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი;)

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო -10 (თ.მოზაიძე; შ.ტერტერაშვილი გ.შორთიშვილი; გ.უძილაური; ლ. მუთოშვილი; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღველიშვილი; ს.ბაბულაიძე; ე.ფეტვიაშვილი; კ.მუხაური.)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მღისმინეს: 1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო დამსწრე წევრებს ინფორმაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 10/01/2022; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.162.016559) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

ა) მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თითოეული წევრისთვის, რომელსაც საკრებულოში არ უკავია თანამდებობა (შემდგომ - საკრებულოს წევრი), ასანაზღაურებელი ხარჯების ყოველთვიური მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 700 (შვიდასი) ლარს.“.

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საკრებულოს წევრს აუნაზღაურდება საკრებულოს სხდომებში, საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის, საკრებულოს გადაწყვეტილებების მომზადებისა და ინიცირების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით და საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი სხვა უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების განხორციელებისათვის გაწეული ხარჯები.“.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს

მომხრე - 16 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი; ლ.ვაჩიშვილი; თ.ყვინციანი; თ. ბორჩაშვილი; ხ.იხუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი;)

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 10 (თ.მოზაიძე შ.ტერტერაშვილი; ლ.მუთოშვილი; გ.შორთიშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; ს.ბაბულაიძე; ე.ფეტვიანი; კ.მუსაური.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება №25: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ოდენობისა და მისი ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;“

მოისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ; ინფორმაცია კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ;“

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო საკითხი, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ;

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობა განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით:

ა) იურიდიულ საკითხთა კომისია - 10 წევრი;

ბ) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 10 წევრი;

გ) ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - 10 წევრი;

დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - 10 წევრი;

ე) სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია - 10 წევრი.

2საკრებულოს თითოეულ კომისიაში ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები განისაზღვროს შემდგენაირად:

ა) ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს სამი მესუთედისა (3/5);

ბ) ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - კომისიის სრული შემადგენლობის არაუმეტეს ორი მესუთედისა (2/5);

გ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, რომელიც გაერთიანებული არ არის არცერთ ფრაქციაში, შესაბამისი კომისიის წევრი ხდება პირადი განცხადების საფუძველზე, - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30.1 მუხლის 2.2 პუნქტით დადგენილი წესით.

კომისიების შემადგენლობა:

იურიდიულ საკითხთა კომისია

1. გელა შაშიაშვილი - თავმჯდომარე
2. რევაზ გახუაშვილი
3. კახა მამულაშვილი
4. გიორგი ბართიშვილი
5. ხათუნა იჩუაიძე
6. შორენა ხოხობაშვილი
7. შაქრო ტერტერაშვილი
8. კარლო მუხაური
9. ლევან ჭიჭიკოშვილი
10. ეთერ ფეტვიაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

1. კახა მამულაშვილი - თავმჯდომარე (2)
2. დავით ავაზაშვილი
3. თამაზ ბორჩაშვილი
4. ზეზვა ფიცხელაური
5. ზეზვა უძილაური
6. გიორგი ბართიშვილი (2)
7. შაქრო ტერტერაშვილი (2)
8. გელა შორთიშვილი
9. ფირუზ შიომღვიმელი

10. ლუიზა მუთოშვილი

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია

1. გიორგი მამუჩარაშვილი - თავმჯდომარე
2. იოსები ქარუმაშვილი
3. ელდარ ბალაკაშვილი
4. ზეზვა ფიცხელაური (2)
5. ლევან ვაჩიშვილი
6. ზეზვა უძილაური (2)
7. სოსო ბაბულაიძე
8. გივი უძილაური
9. კარლო მუხაური (2)
10. კობა მაზიაშვილი

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია

1. რევაზ გახუაშვილი - თავმჯდომარე (2)
2. გელა ონიაშვილი
3. ბესარიონ კაიშვილი
4. თამაზ ბორჩაშვილი (2)
5. ელდარ ბალაკაშვილი (2)
6. გელა შაშიაშვილი (2)
7. გელა შორთიშვილი (2)
8. კობა მაზიაშვილი (2)
9. ეთერ ფეცვიაშვილი (2)
10. სოსო ბაბულაიძე (2)

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია

1. ბესარიონ კაიშვილი - თავმჯდომარე (2)
2. გიორგი ქიბროწაშვილი
3. ხათუნა ირუაიძე (2)
4. გიორგი მამუჩარაშვილი (2)
5. შორენა ხოხობაშვილი (2)
6. თამარ ყვინიშვილი
7. ელენე მარკოზაშვილი

8. გივი უძილაური (2)

9. ლუიზა მუთომვილი (2)

10. თინათინ მოზაიძე

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს

მომხრე - 16 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი; ლ.ვაჩიშვილი; თ.ყვინციშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.ინუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაკაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი;)

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 10 (თ.მოზაიძე; შ.ტერტერაშვილი; ლ.მუთომვილი; გ.შორთიშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; ს.ბაბუღაიძე; ე.ფეტვიანი; კ.მუხაური.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №4: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვლების დამტკიცების შესახებ; ინფორმაცია კომისიების პერსონალური შემადგენლობის შესახებ;“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

მომხსენებელმა გააცნო საკითხი საკრებულოს წევრებს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 6 (ექვსი) ერთეულით:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი - 1;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - 3;
- გ) საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი - 1;
- დ) საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი - 1;

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №52 განკარგულება.

გიორგი ქიბროწაშვილმა გამოთქვა აზრი, რომ საკრებულოს უკეთესად მუშაობისათვის უკეთესი იქნება, თანაშემწე დარჩეს 2 და საჭიროების შემთხვევაში შრომითი ხელშეკრულებით მოვიწვიოთ სპეციალისტი, რომელიც შემდგომში უზრუნველყოფს კომისიების საჭიროებების მიხედვით შესაბამის მომსახურებას.

შაქრო ტერტერაშვილმა აღნიშნა, რომ მისი აზრით ასეთი საჭიროება კომისიებს არ აქვთ და აინტერესებს ვინ არის განსაზღვრული ამ ადგილას.

გიორგი ქიბროწაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული ხელშეკრულება გაფორმდება საჭიროების დადგომის შემთხვევაში და კონკრეტული პიროვნება ამ ადგილას ამ ეტაპზე არ მოიაზრება.

სხვა კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხის შეცვლილ ვარიანტს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 6 (ექვსი) ერთეულით:

- ა) საკრებულოს თავმჯდომარის მრჩეველი - 1;
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე - 2;
- გ) საკრებულოს თავმჯდომარის მძღოლი - 1;
- დ) საკრებულოს თავმჯდომარის მდივანი - 1;
- ე) საკრებულოს კომისიის მოწვეული სპეციალისტი - 1

მომხრე - 14 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ქიბროწაშვილი; ლ.ვაჩეიშვილი; თ. ბორჩაშვილი; ხ.იჩუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაგაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი;)

წინააღმდეგი - 11 (გ.ონიაშვილი ; თ.მოზაიძე; შ. ტერტერაშვილი; გ.შორთიშვილი; ლ. მუთოშვილი; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; ს.ბაბუღაიძე; ე.ფეტვიანი; კ.მუხაური)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 1 (თ.ყვინციანი;)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება № 5 : ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების შესახებ;

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროექტის მიზანია მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას მასზე, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 12 (თორმეტი) ერთეულით:

- ა) მიკროავტობუსის მძღოლი - 1;
- ბ) სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მძღოლი -1;
- გ) მძღოლები მერიაში - 4;
- დ) ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტი - 1;
- ე) მერის მრჩეველი - 2;
- ვ) მერის თანაშემწე - 1;
- ზ) მერის მისაღების კოორდინატორი (მდივანი) -1;
- თ) ტექნიკური სპეციალისტი - 1.

კითხვები და შენიშვნები არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა საკითხს;

მომხრე - 16 (ი. ქარუმაშვილი; დ.ავაზაშვილი; გ.ონიაშვილი; გ.ქიბროწაშვილი;ლ.ვაჩეიშვილი; თ.ყვინციანი; თ. ბორჩაშვილი; ხ.იჩუაიძე; გ.შაშიაშვილი; კ.მამულაშვილი; ზ.უძილაური; ე.ბაღაგაშვილი; ბ.კაიშვილი; ზ.ფიცხელაური; გ.მამუჩარაშვილი; რ.გახუაშვილი;)

წინააღმდეგი - 2 (შ.ტერტერაშვილი; გ.შორთიშვილი;)

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 8 (ლ.მუთოშვილი; თ. მოზაიძე; გ.უძილაური; ე.მარკოზაშვილი; ფ. შიომღვიმელი; ს.ბაბუღაიძე; ე.ფეტვიანი; კ.მუხაური.)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №6: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების

შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის სიის დამტკიცების ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

აღნიშნულ სიაში შედიან საკრებულოს ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გაერთიანებული საკრებულოს წევრები:

- 1) გიორგი ქიბროწაშვილი - უმრავლესობის ლიდერი;
- 2) იოსები ქარუმაშვილი; 3) შორენა ხოხობაშვილი; 4) ლევან ვახეიშვილი; 5) გიორგი ბართიშვილი;
- 6) თამარ ყვინიშვილი; 7) გელა ონიაშვილი; 8) თამაზ ბორჩაშვილი; 9) ხათუნა იჩუაიძე; 10) გელა შაშიაშვილი; 11) კახა მამულაშვილი; 12) ზეზვა უძილაური; 13) ზეზვა ფიცხელაური; 14) გიორგი მამუჩარაშვილი; 15) რევაზ გახუაშვილი; 16) დავით ავაზაშვილი; 17) ბესარიონ კაიშვილი; 18) ელდარ ბაღაკაშვილი.

აღნიშნული სია დამტკიცებულ იქნა საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 26 იანვრის სხდომაზე.

ოქმს თან ერთვის ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უმრავლესობის წევრთა სია, დამოწმებული ყველა წევრის ხელმოწერით.

მოისმინეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოპოზიციის სიის დამტკიცების ცნობად მიღების შესახებ;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

ოპოზიციის წევრთა სიაში სულ შედის საკრებულოს 12 წევრი - ფრაქციაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ გაერთიანებული საკრებულოს 11 წევრი და საკრებულოს 1 უფრაქციო წევრი:

- 1) შაქრო ტერტერაშვილი;
- 2) გელა შორთიშვილი;
- 3) კარლო მუსაური;
- 4) გივი უძილაური;
- 5) ელენე მარკოზაშვილი;
- 6) ფირუზ შიომღველიშვილი;
- 7) ლუიზა მუთოშვილი;
- 8) კობა მაზიაშვილი;
- 9) სოსო ბაბულაიძე;
- 10) ეთერ ფეტვიაშვილი;
- 11) ლევან ჭიჭიკოშვილი.
- 12) თინათინ მოზაიძე (საკრებულოს უფრაქციო წევრი).

აღნიშნული სია დამტკიცებულ იქნა საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 26 იანვრის სხდომაზე.

საკრებულოს სხდომა დაიხურა 11:40 საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

